საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორიცი იუნა (ჯუნა) პეტრეს ასული

მორიცი იუნა (ჯუნა) პეტრეს ასული (დ. 2. VI. 1937, კიევი), უკრაინელი პოეტი, მთარგმნელი. 1954 ჩაირიცხა კიევის სახელმწ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტზე, 1955-იდან სწავლა განაგრძო მოსკოვის ლიტ. ინ-ტში პოეზიის განყ-ბაზე. რეგულარულად აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს „საბჭოთა უკრაინაში“. 1961 გამოსცა პირველი ლირიკული კრებული „საუბარი ბედნიერებაზე“. 1962 ა. მირცხულავას რედაქტორობით გამოიცა **მ**-ის ლექსების კრებული. **მ**-მა თარგმნა ხ. გაგუას, გ. გეგეჭკორის, ჯ. ჩარკვიანის. ო. ჭილაძისა და სხვა ქართვ. პოეტების ლექსები.